

## გიორგი ხუციშვილი

(1948-2013)

### ამონარიდები

1991-2005

„ცრუ ხალხურობა, ანუ პოპულიზმი, არაფრით არ სჯობია პირნავარდნილ ტოტალიტარიზმს“ – 1992 წ. 18 აპრილი, გვ. 29

„...ნინალმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთი საბოლოოდ რუსეთის ტერიტორიად იქცევა. ასე რომ არ მოხდეს, ქართული მხარე ბევრ დათმობაზე უნდა წავიდეს“ – 1993 წ. 21 იანვარი, გვ. 58

„ყველა ხალხმა, ეთნიკურმა ჯგუფმა, რომელიც ცხოვრობს საქართველოში, უნდა დაინახოს, რომ საქართველოში ყოფნა სჯობს საქართველოდან გასვლას და, უმჯობესია, თავიანთი ადგილი მოძებნონ ახალ საქართველოში, ვიდრე იბრძოლონ მისი დაშლისათვის. მჯერა, ამას, ადრე თუ გვიან, მაინც აუცილებლად მიხვდებიან. ამისათვის კი ყველამ ერთად უნდა გავხადოთ მიმზიდველი ახალ საქართველოში ცხოვრება“ – 1996 წ. 2 აპრილი, გვ. 110

„ყველა დიდი კრიზისისათვის საერთოა ის, რომ შეუძლებელია მათი დაძლევა, თუ აზროვნების წესს არ შევიცვლით“ – 1996 წ. 19 ივნისი, გვ. 118

„ჩვენს პირობებში, ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების სპეციფიკის გათვალისწინებით, საომარი გზით პრობლემის გადაჭრა ყველა შემთხვევაში წამგებიანი იქნება“ – 1996 წ. 11 დეკემბერი, გვ. 131

„საქართველოში განსაკუთრებული ვითარებაა, კერძოდ, ჩვენთან მსოფლიოს ჯერ კიდევ ერთი ადამიანის გამო აქვს საქმე, ეს რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს. უნდა შეიქმნას ისეთი სიტუა-

ცია, როდესაც სახელმწიფოს არსებობა და განვითარება არ იქნება დამოკიდებული ერთ პიროვნებაზე” - 1996 წ., 11 დეკემბერი, გვ. 134

“კონფლიქტის დაძლევა შეუძლებელია, თუ აზროვნების წესს არ შევიცვლით” - 1997 წ. 2 მაისი, გვ. 135

„რამდენიც უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორი განუმეორებელი ვართ, მათ შორის, ჩვენს თავზე გადამხდარ კონფლიქტებშიც კი, აუცილებელია, მოვუსმინოთ ისეთ არგუმენტებს, რომლებიც შეიძლება გვაღიზიანებდეს და პროტესტს იწვევდეს, მაგრამ რეალობის ამსახველია და ობიექტურ ვითარებას ემყარება“ - 1998 წ. 27 აპრილი, გვ. 150

„მაგრამ წლებიც ვერ გვიშველის, თუ ჩვენ ყველას, და არა მარტო აფხაზებს, არ დავანახეთ, რომ ჩვენ ვართ ჩამოყალიბებული ერი, რომელიც პასუხს აგებს არა მარტო ტიტულოვანი ერის, ქართველების, არამედ ყველა აქ მცხოვრები ერის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე“ - 1998 წ. 4 აგვისტო, გვ. 184

“...აი, თურმე რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება, რომელზეც ხელი ისე გვეკონია ყველას მონერილი, როგორც ჩადრში გამოწყობილ უცნობ ფიგურასთან სამოქალაქო რეგისტრაციის აქტზე” - 1999 წ. 15 თებერვალი, გვ. 192

„კარგად გააზრებული დეცენტრალიზაცია არის წამალი. ჩვენ ამ სიტყვის ცეცხლივით გვეშინია. გვეშინია, რომ სახელმწიფო დაიშლება და ქაოსი დაიწყება, მაგრამ საქართველოს ფედერალური მონყობა გარდაუვალია, თუნდაც იმიტომ, რომ სხვანაირად ოსეთსა და აფხაზეთს ჩვენ ვერ დავიბრუნებთ“ - 2001 წ., იანვარი, გვ. 242

„დაიწყო ბრძოლა იმ ბოროტების წინააღმდეგ, რაც ოდითგანვე სახელმწიფოსთვის უპირველეს საშიშროებად ითვლებოდა: მხედველობაში მაქვს აზროვნების უნარი“ - 2002 წ., 19 მარტი, გვ. 243

„მიღებულია, რომ ვინც პატრიოტულ სიტყვებს ამბობს, ის მართლაც პატრიოტია, ხოლო ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, თვითონაა საეჭვო“ - 2002 წ., 19 მარტი, გვ. 243

„საკმარისია, ვინმემ დინების სანინააღმდეგოდ ხმა ამოიღოს, უმაღლეს თავს დაატყდება აღშფოთებულ ფუნქციურ პატრიოტთა

ჯერ ვერბალური რისხვა, მერე კი ვინ იცის...“ – 2003 წ. აპრილი, გვ. 306

„პროექტები, რომელთაც ჩიხში მივყავართ, მეტად და მეტად ფინანსდებიან. მე ამას სამშვიდობო პროცესების სტერილიზაცია ვუწოდებ“ – 2004 წ. 17 ივნისი, გვ. 358-359

„ასე იმიტომ იქცევიან, რომ ყოველთვის არსებობს ცდუნება, კანონმდებლობა საკუთარ ინტერესებს მოარგონ. ეს ყველა საზოგადოებაში არსებობს და ერთადერთი, ვისაც ამისი კორექტირება შეუძლია, სამოქალაქო საზოგადოებაა“ – 2005 წ. 29 დეკემბერი, გვ. 422

„თუ უმრავლესობა მართლაც მხოლოდ დიდი უმრავლესობაა პარლამენტში, რომელიც ერთი ხმით ილაპარაკებს, მაშინ დგება საკითხი – კონკრეტულად რა გვარისაა ეს ხმა“ – 2005 წ. 29 დეკემბერი, გვ. 422

## ამონარიდები

2006-2013

„ეს მუდმივი ბრძოლის ველია, სადაც დემოკრატია უნდა სძლიოს ბიუროკრატიას, საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც დამკვიდრდეს სამართლებრივი და ჰუმანური მსოფლმხედველობა და ქცევა“ – 2006 წ. ივნისი, გვ. 33

„ფიცი მნამს, მაგრამ რა ვუყო იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ კონფლიქტები სასწაულებრივად არ გვარდება? ... ყველაფერი ეს მწარედ გვაფიქრებინებს, რომ მიზანი პრობლემის გადაწყვეტა კი არა, არამედ გადაწყვეტის მიმართულებით მოძრაობის ილუზიაა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდებში უნდა გაძლიერდეს“ – 2006 წ. 30 სექტემბერი, გვ. 54

„ჩვენთან რატომღაც ვერ გაუგიათ, რომ სახელმწიფო გადამხდელთა ფულით არსებობს. პრეზიდენტი ხშირად ჩუქნის რალაცეებს ვილაცას, რაც სინამდვილეში მისი კი არა, ჩვენი საჩუქარია“ – 2006 წ. 9 ოქტომბერი, გვ. 60

„ჩვენ გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ხელისუფლებაც ძლიერი იქნება და ოპოზიციაც. ამის მისაღწევად ბრძოლა საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, უნდა ვეცადოთ, გავაქტიურდეთ და სიმართლის თქმის არ შეგვეშინდეს“ – 2006 წ. 9 ოქტომბერი, გვ. 60

„იმედი მინდა ვიქონიო, რომ ვცდები და “ხავერდოვანი ავტოკრატისკენ” არ მივდივართ“ – 2006 წ. 11 დეკემბერი, გვ. 71,79

„ჩვენი ხელისუფლება კაბინეტებში სულ სხვა მოლაპარაკებებს აწარმოებს, მასმედია სულ სხვა სურათს გვიხატავს და, ფაქტობრივად, საზოგადოება მოქცეულია იმ ვაკუუმში, რომელსაც ხელისუფლება უქმნის მედიისა თუ სხვა საშუალებებით“ – 2007 წ. 15 თებერვალი, გვ. 85

„საქართველოში მენტალიტეტი მიიჩნევა ჩამორჩენილად, არაცივილიზებულად, უფრო აზიურად, ვიდრე ევროპულად. ამიტომ საბოლოოდ მას ბრალდება ყველაფერი, რაც ვერ გამოდის: აბა, ამ მენტალიტეტის ხალხთან შეიძლებოდა რამე გამოსულიყო? აქ მენტალიტეტი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. გამზადებული ინდულგენციაა“ – 2007 წ. 17 აპრილი, გვ. 114

„[ხელისუფლებისათვის] მთავარი ის კი არ არის, რომ ყველა მუდმივად კონტროლის ქვეშ იყოს, არამედ ის, რომ ხალხს სჯეროდეს, რომ ეს ასეა“ – 2007 წ. 17 აპრილი, გვ. 115

„ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით კონფლიქტის ზონაში რაიმე დადებითის მიღწევა შეუძლებელია“ – 2007 წ. 4 ივნისი, გვ. 133

„ხელისუფლებას ოლიგარქების ეშინია არა იმიტომ, რომ დემოკრატიული იდეალები აწუხებს, არამედ იმიტომ, რომ ეშინია ნებისმიერის, ვინც რესურსს ფლობს, მათ კონტროლს არ ექვემდებარება და შეუძლია, ოპონენტი გააძლიეროს“ – 2007 წ. 5 ნოემბერი, გვ. 153

„ოპოზიციას, რამდენიც უნდა ეცადოს, რევოლუციის გამოწვევა არ შეუძლია. რევოლუციამდე ქვეყნის მიყვანა შეუძლია ხელისუფლებას“ – 2007 წ. 5 ნოემბერი, გვ. 154

„როდესაც ვამტკიცებთ, რომ უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს, ეს არის უპასუხისმგებლო განცხადება. ძალების რა განლაგებაა მსოფლიოში, რისი პერსპექტივა გვაქვს პრაქტიკულად, რა არის არარეალური — ეს ყველაფერი უნდა განვუმარტოთ საზოგადოებას“ – 2008 წ. 18 აპრილი, გვ. 194

„რუსეთი დღეს ომს ელოდება. ომი კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან სწორედ ეს არის ის კოზირი, რითაც რუსეთი საბოლოოდ მთელ თამაშს იგებს საქართველოს დასამარცხებლად“ – 2008 წ. 19 აპრილი, გვ. 203

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN)  
დამაარსებელი დირექტორი (1994–2013), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი გიორგი ხუციშვილი (1948–2013).

ამონარიდები პუბლიკაციებიდან

გიორგი ხუციშვილი: როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები 1991–2005 წწ. წიგნი I.  
თბილისი, 2016

გიორგი ხუციშვილი: როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები 2006–2013 წწ. წიგნი II.  
თბილისი, 2016

[www.iccn.ge](http://www.iccn.ge)